

# დასაქმების პრაქტიკა საქართველოს საჯარო სექტორში

მარიამ მეტრეველი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო ბერუაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ მეტრეველი

**25/06/2021**

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საჯარო სექტორში დასაქმების სირთულეები, რომელსაც სხვადასხვა განმაპირობებელი ფაქტორები უდევს სარჩულად, მათ შორის პოლიტიკურიც. წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, რომელიც საჯარო სექტორის დახვეწისა და განვითარებისაკენ იყო მიმართული, ემსახურებოდა იმას რომ ეს სექტორი გამხდარიყო ობიექტური, გამჭვირვალე, ყველასათვის ხელმისაწვდომი, საჯარო და ღია, თუმცა დღემდე ბუნდოვნად რჩება საჯარო სექტორში დასაქმების პრაქტიკა. ნეპოტიზმი, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლება, კორუფცია, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ეს ის მანკიერი მახასიათებლებია, რომლის გამოც საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ ნდობა და მოლოდინი იმისა, რომ მათი დასაქმება მოხდება მათი განათლებისა თუ კვალიფიკაციის გათვალისწინებით. განვითარებული საჯარო სექტორი ნიშნავს უკეთეს მომსახურებებს, რომელიც მიმართულია საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების გამარტივებისა და გაუმჯობესებისაკენ. ასეთი მოდელი აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობაზე, კარიერულ წინსვლასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა უფლებების დაცვასა და ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობას, რომელიც განვითარების, ეკონომიკური ზრდის, ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველია. კვლევის საგანს სწორედ საჯარო სექტორში დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი წარმოადგენს, ის თუ რა განაპირობებს ამ სექტორში დასაქმების სირთულეებს, რამდენად არის ეს პროცესები გამჭვირვალე და ვის ეკისრება ამ პროცესებზე პასუხისმგებლობა.

## Abstract

The present paper presents the difficulties of employment in the public sector, which is driven by various determinants, including political.

Despite years of reforms aimed at improving and developing the public sector, it has served to make the sector objective, transparent, accessible to all, public and open, although the practice of public sector employment remains vague.

Nepotism, illegal dismissal, corruption, discrimination on political grounds, these are the vicious characteristics due to which Georgian citizens do not have confidence and expectation that their employment will be based on their education or qualifications.

A developed public sector means better services aimed at simplifying and improving the lives of its own citizens.

Such a model must be based on political neutrality, impartiality, career advancement and accountability.

The paper pays special attention to the protection of the rights of public servants and the importance of human capital, which is the basis for development, economic growth, efficiency and competitiveness.

The subject of the research is the analysis of the problems related to employment in the public sector, what causes the employment difficulties in this sector, how transparent these processes are and who is responsible for these processes.